- To obtain specimens of profile semiconductor and steel materials of surface disturbed layers and crystals of minimum thickness, techniques for precision cutting, mechanical friction and electrochemical polishing were developed. The preparation of specimens is carried out on the available in the Institute automatic cutting EQ-SVJ-200 (USA), precision polishing UNIPOL-802 (Germany) and M-PREP (USA) 3 machines. The 4.5-15.5 nm thick pure surface specimens were obtained. The Institute purchased the newest Dynamic Ultra Micro Hardness Tester SHIMADZU DUH-211S (Japan), on which the research of mechanical properties of solid bodies is carried out.

- A radiation technology for producing modified steels and methods for researching the hardness and wear resistance of materials were developed. For testing nanosized ion-implanted layers for mechanical strength, the



ფიზ.მატ.მეცნ. დოქტორი ი. ნარდაია
ულტრამიკროსისალის ტესტერზე
(Shimadzu – DÜN-211S)
მუშაობის დროს

**Doctor of Phys. Math. Sciences –
I. Nardia upon work on ultra
micro hardness tester
(Shimadzu – DÜN-211S)**

მიღებულია 4.5-15.5 ნმ-ის სიმქისის სუფ-
თა ზედაპირის ნიმუშები. ინსტიტუტში
შეძენილია უახლესი დინამიკური ულტრა
მიკროსისალის ტესტერი Shimadzu DUH-
211S(იაპონია), რომელზედაც მიმდინარე-
ობს მყარი სხეულების მექანიკური თვისე-
ბების კვლევა.

- დამუშავებულია მოდიფიცირებული
ლითონების შექმნის რადიაციული ტექ-
ნილოგია და მასალების სისალისა და
ცვეთამედეგობის კვლევის მეთოდიკა.
ნანოზომების იონიმპლანტირებული ფე-
ნების მექანიკურ სიმტკიცეზე გამოცდი-
სათვის გამოყენებულია მიკროსისალის
გაზომვის მეთოდი.

- შესრულებულია საქართველოს ეროვ-
ნული სამეცნიერო ფონდის პროექტით
(GNSF-476, 2009-2011 წ.წ.) გათვალის-
წინებული სამუშაოები მოლიბდენის,
ნიობიუმისა და ვოლფრამის ბაზაზე ნა-
ნომეტრულზომებიანი მნიშვნელოვნად
განმტკიცებული და ცვეთამედეგი ახალი
კლასის იონიმპლანტაციური მასალების
შესაქმნელად. აზოტის, ნახშირბადისა და
სილიციუმის მაღალი ფლუენსების იო-
ნების იმპლანტაციით განხორციელდა
მაღალი სიმტკიცის ნიტრიდების, კარბი-
დებისა და სილიციდების სინთეზი. მასა-
ლების ნანომეტრულზომებიანი ფენების
სიმტკიცე საშუალოდ ორ-სამჯერ, ხოლო
ფარდობითი ცვეთამედეგობა სამ-ოთ-
ხვერ გაიზარდა.

- შესრულდა ბრუკპავენის ნაციონალუ-
რი ლაბორატორიასთან საპარტნიორო
საერთაშორისო პროექტი ხარკვის ფი-
ზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მონანილე-
ობით (STCU P-466, 2012-2014წ.წ.). პრო-
ექტის ფარგლებში დამუშავდა და შეიქმნა
ბურთულასაკისრებისათვის რადიაციით
მოდიფიცირებული იონიმპლანტაციუ-
რი, დაბალი ხახუნის მქონე ბურთულები.
საცდელი ნიმუშები გადაეცა ინდუსტრი-
ულ პარტნიორს.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ბირ-
თვული და რადიაციული უსაფრთხოების
უზრუნველყოფისათვის, მიმდინარეობს
სამუშაოები პორტატული, ნახევარგამ-
ტარული იონიმპლანტაციური ნეიტრო-
ნების ნაკადის, მიკროპროცესორული
გაზომვებით უზრუნველყოფილი მაღალი



**ნახევარგამტარული იონიმპლანტაციური
ნეიტრონების სენსორი**
**Semiconductor ion-implanted
neutron flux sensor**

micro hardness measuring method has been used

- The works on the production of essentially strengthened and wear-resistant, new-class ion-implanted materials on the basis of molybdenum, niobium and tungsten envisaged by the Georgian National Science Foundation project (GNSF-476, 2009-2011) have been executed. By implantation of nitrogen, carbon and silicide high-fluence ions high-strength nitrides, carbides and silicides have been synthesized. The strength of nanometric-sized layers has increased twice or thrice on the average, while relative durability – thrice or four times

- The International Partnership Project with the Brookhaven National Laboratory and participation of Kharkov Institute of Physics and Technology (STCU P-466, 2012-2014) was implemented. The radiation-modified ion-implanted, low-friction balls were developed and manufactured for ball bearings and control samples were delivered to the industrial partner.

The works on the development of a portable, high-performance counter – sensor provided with microprocessor measurement of ion-implanted neutron flux are under way for the nuclear and radiation safety systems of the national defense.

ეფექტურობის მთვლელის - სენსორის შესაქმნელად.

ამჟამად, ასევე მიმდინარეობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტით № AR / 167/3 – 121/14 (2015 - 2017 წ.წ.) გათვალისწინებული სამუშაოები. ამ სამუშაოებში აღსანიშნავია თანამშრომლების ი. ნარდაიას, ა. სიჭინავას, ც. ნებიერიძის, დ. კაკულიას, ა. ინალიშვილისა და გ. არჩუაძის წვლილი.

პლაზმის ფიზიკა. სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თბილისში ფუნქციონირების პერიოდში გრძელდება თეორიული კვლევები პლაზმის ფიზიკის პრობლემებზე (ვ. კირცხალია, ი. უვანია). პლაზმური დანადგარების უქონლობის გამო, კვლევის საგანს წარმოადგენს მაგნიტოსფერულ პლაზმაში მიმდინარე დინამიკური პროცესები, რომლებიც ექსპერიმენტულად კარგად არის შესწავლილი. ინსტიტუტის თეორიული სამუშაოები ძირითადად ეხება პლაზმური კონფიგურაციების მდგრადობის საკითხებს. კერძოდ, მაგნიტოსფეროს ცალკეული სტრუქტურების მდგრადობის პირობების დადგენა მათში პლაზმური დინებების არსებობის პირობებში. პლაზმის კუმშვადობის კორექტულად გათვალისწინება საშუალებას იძლევა აისხნას მრავალი ფიზიკური მოვლენა, რომლებიც ექსპერიმენტულად დაიმზირებიან, მაგრამ თეორიული დასაბუთება არ გააჩნიათ. ასე მაგალითად, დადგინდა მაგნიტოპიდოროდინამიკური ტანგენციალური წყვეტის მდგრადობის განზოგადებული პირობა, მაგნიტობერითი ტალღების გენერაციისა და გავრცელების მექანიზმები. დადასტურდა მაგნიტოსფეროს კუდის, როგორც მთლიანის, ასევე მისი ცალკეული ფენის გეომეტრიული ფორმის თავისებურებები და სხვა. აღსანიშნავია, რომ ამ შრომების დადი ნაწილი შესრულებულია პლაზმის ფიზიკის მსოფლიოში წამყვან სპეციალისტთან, ა. რუხაძესთან თანამშრომლობით.

At present the works envisaged by the Shota Rustaveli National Science Foundation's project #AR / 167/3 – 121/14 (2015-2017) are under way. The contribution of the collaborators I. Nardaia, A. Sichinava, Ts Nebieridze, D. Kakulia, A. Inalishvili and G. Archvadze made in this project is worth mentioning.

Plasma physics. While functioning in Tbilisi Sukhumi Institute of Physics and Technology continued theoretical investigations of plasma physics (V. Kitrskhalia, I. Zhvania). The plasma plants available in Sukhumi were absent in Tbilisi. The subject of the research was dynamic processes taking place in plasma magnetosphere well studied experimentally. Since the theoretical studies in the Institute mainly concerned investigation of stability conditions of different plasma configurations, the stability problems of individual structures of magnetosphere under conditions of large-scale plasma streams were studied. The major part of these problems was investigated theoretically as approximation of incompressible plasma. The research demonstrated such approximation to be rather rough in order to ensure the obtaining of adequate stability conditions, for many physical phenomena associated with the stability of plasma streams stay out of touch of the investigator. A proper account of plasma compressibility made it possible to explain many phenomena experimentally observed, but lacked physical grounding. Thus, for example, the generalized condition of the magnetohydrodynamic tangential discontinuity was obtained, the mechanism of generation and spread of MHD waves was established, a physical substantiation of

გარემოს კუმშვადობისა და უკუმშვადობის კრიტერიუმების კორექტულად განმარტების შემდეგ მიღებულ იქნა ფრიად მნიშვნელოვანი შედეგები აერო- და ჰიდროდინამიკაში. აღმოჩნდა, რომ არაერთგვაროვან გარემოში, როგორსაც წარმოადგენს დედამინის გრავიტაციულ ველში წებისმიერი გარემო, არსებობს ბევრის გენერაციისა და გავრცელების ორი მექანიზმი – ადიაბატური და იზობარული, განსხვავებით დღეს არსებული წარმოდგენისგან, რომელიც იცნობს მხოლოდ ადიაბატურ მექანიზმს, რაც სამართლიანია მხოლოდ ერთგვაროვანი გარემოსთვის. ამის შედეგად მიღებულ იქნა დედამინის ატმოსფეროში ბევრის სიჩქარის სიმაღლეზე დამოკიდებულების ამსახველი და ტროპოსფეროს ზედა საზღვრის განმსაზღვრელი ანალიზური გამოსახულებები, განზოგადოებულ იქნა ფიზიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი – მასის უწყვეტობის განტოლება არაერთგვაროვანი გარემოსთვის, ნაჩვენები იქნა, რომ ბევრითი ტალღა წარმოადგენს გრავიტაციული ტალღის კერძო შემთხვევას, დადგენილ იქნა, რომ გარემოს კუმშვადობა ან უკუმშვადობა უშუალოდ არის დაკავშირებული მის ერთგვაროვნებასთან ან არაერთგვაროვნებასთან და მათ გააჩნიათ არა მექანიკური, არამედ თერმოდინამიკური აზრი, განზოგადებულ იქნა იდეალური აირის კანონები არაერთგვაროვანი გარემოსთვის და მრავალი სხვა. ეს შედეგები იძლევა დედამინის მაგნიტოსფეროს და ატმოსფეროს კვლევის ახალ პერსპექტივებს.

2015 წელს, გერმანულმა აკადემიურმა გამომცემლობამ „LAMBERT academic publishing“ გამოსცა მონოგრაფია „Applied problems of gas and hydrodynamics“ [3], რომელიც წარმოადგენს სფრი-ს მიერ ბოლო 4 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომების კრებულს.

რადიოფიზიკური და ელექტრონული 106

peculiarities of geometric configurations of the magnetosphere tails as a whole, as well as of its different layers was given, etc.

After correct identification of the compressibility and incompressibility criteria of medium, rather important results in gas- and hydrodynamics were obtained. It was found that in the non-uniform media, like in any medium in the gravitational field of the Earth, there are two sound generation and propagation mechanisms – adiabatic and isobaric, as different from the existing understanding, where only the adiabatic mechanism is considered, which is true only for the uniform medium. It naturally follows the existence of two sound velocities – adiabatic and isobaric and the real sound speed are the combination of these two velocities. Following from this, analytical expressions determining the dependence of the sound velocity on the height in the Earth atmosphere and the upper limit of troposphere were identified and one of the most important equations of physics – the mass continuity equation for the non-uniform medium was generalized; the sound wave was shown to be a particular case of the gravitational wave ; the compressibility and incompressibility of the medium were found to be of a thermodynamic rather mechanical sense and properties of the medium being directly associated with its uniformity and non-uniformity . Laws of ideal gas for non-uniform medium were generalized. These results provide new prospects of research of the Earth magnetosphere and atmosphere.

In 2015, the “LAMBERT Academic Publishing” published a monograph” Applied Problems of Gas and Hydrodynamics“ [3], which represents a collection of SIPT works published for the last 4 years .

ლი ხელსაწყოთმშენებლობა. 2011 წლიდან სფრი-ში დაიწყო სამუშაოები რადიოფიზიკური ხელსაწყოთმშენებლობისა და ელექტრონული სისტემების მოდელირებისა და სქემატიკის მიმართულებით (განყოფილების ხელმძღვანელი დოქტორი დ. კაკულია). ამ მიმართულებით განვითარება ხდებოდა ეტაპობრივად. შეიქმნა ელექტრონული კომპონენტების ბაზა. შეძენილ იქნა პროგრამული უზრუნველყოფა ელექტრონული წრედების კომპიუტერული დიზაინისთვის და აღჭურვილობა მათი პროტოტიპირებისათვის და ელექტრომაგნიტური შემთავსებლობის საკვლევად.

გაჩნდა სხვადასხვა ტიპის სენსორებისათვის ელექტრონული მართვის მონაცემების ციფრული დამუშავების, ელექტრონული წრედების განვითარებისა და შემუშავების შესაძლებლობები. ამჟამად ხორციელდება რთული ტექნიკური სისტემების დამუშავება, ანალიზი, სინთეზი და მოდელირება. განყოფილებაში სრულდება სხვადასხვა სპეციალური დანიშნულების მოწყობილობებისა და სისტემების დამუშავება-შექმნის სამუშაოები (ბ. ხვიტია, გ. არჩუაძე, ზ. ვარდოსანიძე, ვ. კუჭუხიძე, რ. შამუგია, დ. ბერიშვილი). ელექტრომაგნიტურ და რადიოელექტრონულ მიმართულებასთან ერთდ ინსტიტუტში დაიწყო სამუშაოები ქვანტური ოპტიკის მიმართულებით. განხორციელდა ოპტიკური დანადგარებისა (სხვადასხვა ტიპის ლაზერები) და სპეციალური ოპტიკური ელემენტების და საშუალებების შესყიდვა და, რაც მთავარია, ამ მიმართულების სპეციალისტების მოზიდვა.

Radiophysical engineering. In 2011, SIPT started the works in the direction of radiophysical engineering and electronic systems modeling and circuit technology (head of the division doctor D. Kakulia). The development in this direction took place by stages. The database of electronic components was generated; software for computer design of an electronic circuit and equipment for prototyping and studying electromagnetic compatibility (EMC).

The opportunity of digital processing of electronic control data for sensors of different types and electronic circuits' development appeared. At present, the development, analysis, synthesis and modeling of complex technical systems are under way. The division is occupied with the development and construction of different special-purpose equipment and systems (B. Khvitia, G. Archuadze, Z. Vardosanidze, V. Kuchukhidze, R. Shamugia, D. Berishvili). Together with the electromagnetic and radio electronics direction, the Institute initiated the work in the direction of quantum optics. Optical equipment (different lasers) and special optical elements and facilities were brought to attract relevant specialists.

The quantum optics subject-matter means the construction of a universal mobile



ელექტრონული სისტემების მოდელირებისა და სქემატიკის ლაბორატორია
(დ. ბერიშვილი 3-პრინტერთან მუშაობის დროს)

**Laboratory of Electronic Systems Modeling and Circuit Engineering
(D. Berishvili at 3D-Printer)**



ქვანტური ოპტიკის ლაბორატორია

Laboratory of Quantum Optics

ქვანტური ოპტიკის თემატიკა ერთის მხრივ ითვალისწინებს უნივერსალური მობილური ჰოლოგრაფიული დანადგარის შექმნას, რომელიც სტაციონარული დანადგარებისგან განსხვავებით საშუალებას მოგვცემს ადგილზე, ლაბორატორიულ და საწარმოო პირობებში, განვახორციელოთ სხვადასხვა კონსტრუქციებისა და დეტალების ჰოლოგრაფიულ-ინტერფერენციული კვლევა მათში დაძაბულობებისა და დეფექტების დასადგენად. გარდა ამისა, სამუშაო ითვალისწინებს ჰოლოგრაფიული ოპტიკური ელემენტებისა და სამუზეუმო საგანძურში დაცული ექსპონატების მაღალეფექტური ჰოლოგრაფიული ასლების მიღებას. დღეისთვის განხორციელებულია სტაციონარული ჰოლოგრაფიული დანადგარის სრული მონტაჟი. მიღებულია სხვადასხვა ტიპის ჰოლოგრაფიული ოპტიკური ელემენტები, მათ შორის ჰოლოგრაფიული რასტრული კონცენტრატორები და საცდელი ობიექტის სახვითი ჰოლოგრაფიული გამოსახულებები. მეორეს მხრივ, თემატიკა ითვალისწინებს იმპულსური ლაზერების მახასიათებლების გაუმჯობესებას, კერძოდ, გიგანტური ლაზერების იმპულსის სიმძლავრის გაზრდას. სამუშაოს მიზანია დღემდე არსებული იმპულსური ლაზერების მქა-ს გაზრდა. ამისათვის შემუშავებულია ახალი პრინციპული გადაწყვეტა. კერძოდ, გათვლილია 2-5- სექტორიანი კვანტორნის კონსტრუქცია ოპტიკური დატუმბვის კასკადური აქტიური გარემოს ცალკეული ელემენტების ავტონომიური დატუმბვის შესაძლებლობით და შემუშავებულია ლაზერის მოდულაციის ახალი პრინციპი. აღნიშნულ სამუშაოზე მიღებულია ორი პატენტი.

holographic device on the one hand, which, in contrast to stationary devices, will make it possible to conduct on-site, under laboratory and industrial conditions, a holographic and interferential research of different structures and details in order to identify stresses and defects in them. In addition, the work means making high-efficient holographic copies of the holographic optical elements and exhibits kept in a museum depository. Today stationary holographic device has been fully mounted. Optical elements of different types were produced, including holographic raster concentrators and holographic images of the experimental object. On the other hand, the subject-matter assumes improvement of pulse laser's characteristics, in particular the giant laser pulse amplification. The purpose of the work is to raise the available pulse lasers' efficiency. For this purpose, a new principal solution was elaborated. In particular, a design of 2-5 sector quantum generator with the possibility of autonomous optical pumping of individual elements of active cascade environment was calculated and a new principle of laser modulation developed. Two patents on the above work were obtained.

კრიოგენული ტექნოლოგია. თბილისში გადმოსვლის შემდეგ ინსტიტუტში გაგრძელდა სამუშაოები კრიოტექნოლოგიის მიმართულებით. მოპოვებულმა საერთაშორისო და ეროვნული ფონდების გრანტებმა საშუალება მისცა ინსტიტუტის სპეციალისტებს (ხელმძღვანელი დოქტორი გ. დგებუაძე) შეექმნათ გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე კრიოტუმბოების სერია სხვადასხვა სახის გაცივების აგენტზე და კრიოსტატი ზეგამტარი მასალების დაბალტემპერატურულ კვლევებისთვის, რომლებზეც მიღებულია პატენტები პარალელურად დაიწყო სამუშაოები ულტრადისპერსიული აირულ-პლაზმური მასალების მისაღებად კრიოტექნოლოგიის გამოყენებით. მოხდა დაფენის დანადგარის მოდერნიზირება რომელიც აღიჭურვა ინსტიტუტში შემუშავებული პლანარული მაგნეტრონული გაფრევევის მოწყობილობითა და კრიოჩამჭერით. ინსტიტუტში ასევე მიმდინარეობს იონურ-პლაზმური, იმპულსიურ-დიოდური და ელექტრონულ-რკალური დანადგარების შექმნის სამუშაოები კრიოჩამჭერების გამოყენებით. ექსპერიმენტალურ პილოტურ მოდელებზე ზემოთ ჩამოთლილი მეთოდებით მიღწეულ იქნა ულტრადისპერსიული (10-200 ნმ) ფხვნილების (Zn, Mo, W) 200 გრ/საათში წარმოების საშუალება. აღნიშნულ სამუშაოებში მონაწილეობდნენ: გ. ბენდელიანი, ი. მეცხვარიშვილი, ვ. ჭანტურიძე, მ. ჩოჩია, ნ. მუმლაძე და საფო-ში დამზადებული კრიოსტატი (მარცხნიდან: ი. მეცხვარიშვილი, გ. ბენდელიანი, ნ. მუმლაძე, ვ. ჭანტურიძე, გ. დგებუაძე)

Cryogenic technology. After transfer to Tbilisi, the Institute continued its works in the area of cryogenic technology. The obtained international and national grants enabled the Institute's specialists (leader Doctor G. Dgebuadze) to create a series of cryogenic pumps with improved parameters on different freezing agents and a cryostat for low-temperature study of superconductive materials, for which respective patent was obtained.

In parallel the works on the production of ultra-finely dispersed gas-plasma materials using the cryogenic technology started. A deposition plant was equipped with the Institute-developed planer magnetron sputtering source and cryogenic clamp. The Institute is also engaged in the development of ion-plasma, pulse-diode and electronic-tin plants using cryogenic clamps. On the pilot models the above-mentioned methods made it possible to produce ultra-finely dispersed (10-200 nm) powders (Zn, Mo, W) 200 g/hour. Participants in said works were: B. Bendeliani, I. Metskhvarishvili, V. Chanturidze, M. Chochia, N. Mumladze and others. The received results are published in scientific journals.

Superconductor physics. The Institute



კრიოტუმბოს აწყობის პროცესი და სფტი-ში დამზადებული კრიოსტატი (მარცხნიდან: ი. მეცხვარიშვილი, გ. ბენდელიანი, ნ. მუმლაძე, ვ. ჭანტურიძე, გ. დგებუაძე)

**Cryogenic pump assembly process and SIPT-made cryostat (From the left:
I. Metskhvarishvili, B. Bendeliani, N. Mumladze, V. Chanturidze, G. Dgebuadze)**



**დაფუნისა და აირპლაზმური დანადგარების გაშვების სამუშაოები (მარცხნიდან:
6. მუმლაძე, ბ. ბენდელიანი, ი. მეტხვარიშვილი, გ. დგებუაძე, ვ. ჭანტურიძე)**

**Commissioning of deposition and gas-plasma plants (From the left:
N. Mumladze, B. Bendeliani, I. Metskhvarishvili, G. Dgebuadze V. Chanturidze)**

6. მუმლაძე და სხვები. მიღწეული შედეგები გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებში.

ზეგამტარების ფიზიკა. ინსტიტუტის გარჩნია მრავალწლიანი გამოცდილება ზეგამტარი მასალების კვლევის მიმართულებით. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები სხვადასხვა ტიპის ახალი თაობის ზეგამტარი მასალების მისალებად და მათგან მაღალეფეტური ზეგამტარი ნაკეთობების დასამზადებლად. ამ მიმართულებით შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- შეიქმნა ნიმუშების სინთეზის ტექნოლოგიური უბანი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია როგორც ყველა (ცნობილი მაღალტემპერატურული ზეგამტარი ნიმუშების მომზადება, ასევე სხვადასხვა ოქსიდების, შენაერთოებისა და ნანოფენილების დამატებით გაუმჯობესებული ფიზიკური-ქიმიური მახასიათებლების მქონე მაღალტემპერატურული ზეგამტარების მიღება. ტექნოლოგიური უბნისთვის ლოურენს ბერკლის ნაციონალურ ლაბორატორიასთან საპარტნიორო პროექტის ფარგლებში STCU #560 „მაღალტემპერატურული ზეგამტარი ფირების სამიზნეები“ (LBNL-T2-0235-Ge) შეძენილ იქნა „Vigor“-ის ფირმის (ჩინეთი) მშრალი ბოქსი, სადაც ხორციელდებოდა ზეგამტარი სამიზნეების ნიმუშების სინთეზი;

has a long-term experience of the research in superconducting materials. At present the works on the production of different types of superconducting materials of a new generation and manufacture of high-performance superconducting products from them are under way. The following works were implemented in this direction:

- A processing section for specimens' synthesis was set up, which allows preparing of all the known high-temperature superconducting specimens, as well as producing high-temperature superconductors of improved physico-mechanical properties by addition of different oxides, compounds and nanopowders. For the processing section, within the scope of the partnership project with the Lawrence Berkeley National Laboratory (Berkeley Lab) STCU 560- "High-temperature Superconductive Film Targets" (LBNL-T2-0235-Ge), a dry box of Vigor company (China), where the specimens of superconducting targets were synthesized;
- Within the framework of Rustaveli National Science Foundation's grant #FR/423/6-260/12 ("Hg-1223 Investigation of the Effect of Implantation of Arsenic- and Stibium-containing Compounds on the Phase Formation in a High-temperature



**ზეგამტარების სინთეზისა (თ. კუჭუხიძე, ნ. ჯალალონია)
და ფიზიკური თვისებების კვლევის უბნები**

**Superconductor synthesis (T. Kuchukhidze, N. Jalagonia)
and physical properties research area**

- ქ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის #FR/423/6-260/12 ფარგლებში ("Hg-1223 მაღალტემპერატურულ ზეგამტარში ფაზის ფორმირებასა და ზეგამტარულ თვისებებზე დარიშვანისა და სტიბიუმის შემცველი ნაერთების დოპირების გავლენის გამოკვლევა") შეიქმნა ზეგამტარი ნიმუშების ფიზიკური თვისებების ტესტირების ექსპერიმენტული უბანი. კერძოდ, ამთვისებლობის ნამდვილი $\chi'(T, h, H, f)$ და წარმოსახვითი ნანილების $\chi''(T, h, H, f)$ გაზომვის სისტემა. χ' და χ'' გაზომვის ცდომილებები 1 μG -ზე მეტ სიხშირეებზე, როდესაც $4\pi\chi'>0.1$ არ აღემატება 1%-ს.

შესწავლითია მაღალტემპერატურული ზეგამტარი კერამიკის $\text{Y}_2\text{Ba}_3\text{Cu}_3\text{O}_{7-x}$ ელექტროფიზიკურ მახასიათებლებზე სხვადასხვა ნანოდოპანტების (BZO , BSO , Zr_2O_3) გავლენა. ნიმუშები დამზადდა პლაზმური და ცხლად დაწნეხვის მეთოდით. მიღებულ ნიმუშებში გაზოდილია ზეგამტარული მახასიათებლები. სან დიეგოს უნივერსიტეტის ზეგამტარობის ლაბორატორიაში შესწავლილ იქნა სფერი-ში სინთეზირებული ნიმუშების სტრუქტურულ-მორფოლოგიური თავისებურებანი. სამუშაოები ჩატარდა STCU-GNSF ერთობლივი პროექტის (№5251) „მდგრად სტრუქტურული მდგომარეობისა და მაღალტემპერატურული YBaCuO ტიპის კერამიკული

კომპოზიციების მიღება და კვლევის“

Superconductor and Supercondutive Properties") an experimental section for testing the physical properties of superconductor specimens was established. In particular, 1) the system of measurement of true $c(T, h, H, f)$ and imaginary $c''(T, h, H, f)$ parts of susceptibility. χ' and χ'' measurement errors for frequencies above 1kHz, when $4\pi\chi'>0.1$ does not exceed 1%. The effect of different dopants (BZO , BSO , Zr_2O_3) on the electrophysical properties of high-temperature superconducting ceramics $\text{Y}_2\text{Ba}_3\text{Cu}_3\text{O}_{7-x}$ was studied. The specimens were prepared by plasma and hot pressing method. The produced specimens are characterized of improved superconductive properties. The structural and morphological peculiarities of the SIPT-synthesized specimens were analyzed in San Diego University's Superconductivity Laboratory. The works were conducted within the framework of the STCU-GNSF joint project (#5251) "Obtaining and Investigation of High-temperature Y123-type Ceramic Compositions with Stable Structure". Active part in the project implementation took E. Sanaia (leader), R. Chedia, I. Kurashvili, G. Darsavelizde, T. Archuadze, T. Kuchukhidze, V. Gabunia and others.

The Institute conducts research of Bi-base high-temperature superconducting co-

ფარგლებში. პროექტის შესრულებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ე.სანაია (ზელმძვანელი), რ.ჭედია, ი.ყურაძევილი, გ.დარსაველიძე, თ.არჩუაძე, თ.კუჭუხიძე, ვ.გაბუნია და სხვები.

ასევე, ინსტიტუტში მიმღინარეობს $\text{Bi}-\text{ფუძიანი}$ მაღალტემპერატურული ზეგამტარი ნაერთებს კვლევის სამუშაოები (ზელმძვანელი დოკტორი ი. მეცვარიშვილი). მყარფაზური რეაქციის მეთოდით დამზადებულ იქნა $\text{Bi}-\text{ფუძიანი}$ ნიმუშები შემადგენლობით $\text{Bi}_{1-x}\text{Pb}_{0.3}\text{Ca}_2\text{Sr}_2\text{Cu}_3\text{Sb}_x\text{O}_y$ ($x=0.00, 0.04, 0.08, 0.12; 0.14$). კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მცირე დოზით დოპირებულ ნიმუშებში ($\text{Sb}_2\text{O}_3 \sim 0.04$) 1,3-ჯერ მოხდა კრიტიკული დენის J_c გაზრდა.

დღემდე ცნობილ ყველა მაღალტემპერატურულ ზეგამტარებს შორის $\text{HgBa}_2\text{Ca}_2\text{Cu}_3\text{O}_{8+\delta}$ (Hg-1223) აქვთ ყველაზე მაღალი კრიტიკული ტემპერატურა ($T_c \approx 135\text{K}$) თუ იგი დამზადებულია ნორმალურ პირობებში, ხოლო ($T_c \approx 165\text{K}$) ექსტრემალურ პირობებში დამზადების დროს, როდესაც წნევა ≈ 30 გპა, მისი ეს თვისება Hg-1223 ფაზას ხდის სასურველ მასალად პრაქტიკული გამოყენებისათვის. შესწავლილ იქნა დარიშხანის As_2O_3 ზეგავლენა $\text{HgBa}_2\text{Ca}_2\text{Cu}_3\text{As}_x\text{O}_y$ -ზე ($x=0.000-0.008$). კვლევების შედეგად ყველაზე მაღალი T_c დაიმზირა 0.4wt.% დოზით დოპირებულ ზეგამტარ ნიმუშები. ასევე აღმოჩნდა, რომ 0.4wt.% დოზით დოპირებულ ზეგამტარში დარიშხანის კონცენტრაციის გაზრდა იწვევს ტრანსპორტული კრიტიკული დენების სიდიდის ზრდას 93 ა/სმ² დან 175 ა/სმ²-მდე. ამ მიმართულებით კვლევებში მონაწილეობდნენ გ. დგებუაძე, ბ. ბენდელიანი, ვ. ჭანტურიძე, ვ. გაბუნია, ნ. მუმლაძე, მ. ჩიოჩია და სხვები. მიღებული შედეგები გამოქვეყნებულია სამეცნიერო ლიტერატურაში და მოხსენებულია საერთაშორისო კონფერენციებზე.

ინსტიტუტში ნიმუშების ქიმიური (ელემენტური) ანალიზი, ფაზური გარდამქნების შესწავლა მაღალ (1500°C) ტემპერატურებზე ხორციელდება ინსტიტუტ-

mpounds (leader Doctor I. Metskhvarisvili). By means of a solid-phase reaction Bi-base specimens composed of $\text{Bi}_{1-x}\text{Pb}_{0.3}\text{Ca}_2\text{Sr}_2\text{Cu}_3\text{Sb}_x\text{O}_y$ ($x=0.00, 0.04, 0.08, 0.12; 0.14$) were prepared. The research results demonstrated 1.3-fold increase of critical current J_c in the small-dose doped specimens ($\text{Sb}_2\text{O}_3 \sim 0.04$).

Out of the presently known high-temperature superconductors, $\text{HgBa}_2\text{Ca}_2\text{Cu}_3\text{O}_{8+\delta}$ (Hg-1223) have the highest critical temperature ($T_c \approx 135\text{K}$), provide they are produced under normal conditions, while upon production under extreme temperature ($T_c \approx 165\text{K}$) conditions, when pressure ≈ 30 GPa. This property makes the Hg-1223 phase a desirable mater for practical application. The impact of As_2O_3 arsenic on $\text{HgBa}_2\text{Ca}_2\text{Cu}_3\text{As}_x\text{O}_y$ ($x=0.000-0.008$) was studied. As a result of studied, the highest T_c value was observed in 0.4 wt.%-dose doped/implanted superconductor specimen. It was also found that increase in the concentration of arsenic in the superconductor specimen sopecimen implanted by 0.4 wt.% leads to a rise in the critical current value from 93 A/cm² to 175 A/cm². The studies in this direction were participated by G. Dgebuadze, B. Bendeliani, V. Chanturidze, V. Gabunia, N. Mumladze, M. Chochia and others. The received results have been published in scientific literature and reported at international conferences.

Chemical (elementary) analysis of specimens in the Institute and investigation of phase changes at high (1500°C) temperature are carried out in the X-ray structure analysis section. The sect ion is equipped with the Soviet-made X-ray diffractometer DRON-3M and device DX-100 (MTI Corporation, USA) for identifying single crystals orientation. The X-ray diffractometer DRON- 3M has been modernized and the recording and processing of experimental

ში შექმნილ რენტგენოსტრუქტურული ანალიზის უბანზე. უბანი აღჭურვილია საბჭოთა წარმოების რენტგენოდიფრაქტომეტრით DROH-3M და ხელსაწყო DX-100-ით (MTI Corporation, აშშ) მონოკრისტალების ორიენტაციის დასადგენად. რენტგენოდიფრაქტომეტრი DROH-3M მოდერნიზებულია და ექსპერიმენტული მონაცემების ჩაწერა და დამუშავება ხორციელდება პერსონალური კომპიუტერის საშუალებით.

ქიმიური ტექნოლოგიები. თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და მისი შემდგომი წინსვლა წარმოუდგენელია ახალი ტექნოლოგიების წანოტექნოლოგიების - დანერგვის გარეშე. წანოტექნოლოგიური მეთოდებით პროდუქციის წარმოებისათვის მნიშვნელოვანია - კვლევის ობიექტის არჩევა და მისი მისადაგება ადგილობრივ ნედლეულთან. ამ მხრივ ინსტიტუტში დაისვა ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა წაადგება ქვეყანას და მკვეთრად გაზრდის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობას.

2012 წელს ინსტიტუტში შეიქმნა ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორია (ხელმძღვანელი დოქტორი რ. ჭედია), რომლის ძირითადი მიზანია თანამედროვე (წანოტექნოლოგიური) მეთოდების გამოყენებით ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ულტრადისპერსიული ფხვნილოვანი კომპოზიციების მიღება და მათი მაღალტემპერატურული შეცხობით კერამიკული მასალების მომზადება.

data are carried out on it by means of a personal computer.

Modern scientific and technological advance and its further progress are unthinkable without introduction of novel nanotechnologies. To make the products by nanotechnology methods the selection of the object of research and its adjustment to local raw materials are important. In this respect, the Institute set tasks, the decision of which will be useful to the country.

Chemical technologies. In 2012 a Laboratory of Chemical Technology was established in the Institute (head doctor R. Chedia), the main purpose of which is the production of super-finely dispersed powder compositions by using modern (nanotechnology) methods on the basis of local raw materials and the manufacture of ceramic materials by high-temperature sintering.

One of the widely used oxide ceramics is corundum. The available in Georgia resources (aluminosilicate, industrial waste, secondary aluminum) are quite sufficient for production of super-finely dispersed alumina and ceramics of different functionality on its basis. The Institute formed a composite powders consolidation section, which is equipped with modern high-temperature



ქიმიური ტექნოლოგიის ლაბორატორია (მ. ქადარია, მ. მუმლაძე, თ. არჩუაძე;
მარჯვნივ თ. კუჭუხიძე)

Laboratory of Chemical Technology (M. Kadaria, M. Mumladze,
T. Archuadze; from the right T. Kuchukhidze)

ერთ-ერთ ფართოდ გამოყენებად ოქსიდურ კერამიკას წარმოადგენს კორუნდი. საქართველოში არსებული რესურსები (ალუმოსილიკატები, მრეწველობის ნარჩენები, მეორადი ალუმინი) სრულიად საკმარისია ულტრადისპერსიული ალუმინის ოქსიდისა და მის ფუძეზე სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების კერამიკულ ნაკეთობათა მისაღებად. ლაბორატორიაში შექმნილია ფხვნილოვანი კომპოზიციების კონსოლიდაციის უბანი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე მაღალტემპერატურული დუმელით, ცხელი დანეხევის პრეცეზიული ფუნქციით (OXY GON, აშშ) და ფხვნილოვანი მასალის გრანულატორით (SD1000, ჩინეთი).

ლაბორატორიაში მიმდინარეობს კომპლექსური სამუშაოები, რომელთა მიზანია დასაწეხი ფხვნილოვანი კომპოზიტების მიღება, რომელთა ძირითადი შემადგენელია ალუმინის ოქსიდი ნაწილაკების ზომით 50-200 ნმ და ოქსიდური და არაოქსიდური არაორგანული ნაერთები (ZrO_2 , MgO , Y_2O_3 , SiO_2 , $B4C$, WC , TiC , ZrB_2 , BN , და სხვ).

მიუხედავად ამ მიმართულებით მომუშავე თანამშრომლების სიმცირისა, ბოლო სამი წლის მანძილზე მსოფლიოში აპრობირებული ტექნოლოგიების ადგილობრივ

hot-press furnace system with hot pressing precision function (OXY GON, USA) and a powder material granulator (SD1000, China).

The laboratory fulfills complex works, the purpose of which is production of compacted composite powders, the basic components of which are aluminum oxide particles sized 50-200 nm and oxide and non-oxide inorganic compounds (ZrO_2 , MgO , Y_2O_3 , SiO_2 , $B4C$, WC , TiC , ZrB_2 , BN , etc.).

Notwithstanding a small number of staff working in this direction for the last three years, by adjusting the universally tested technologies to local raw materials (aluminosilicate, aluminum waste and scrap) and respective correction, the production of super-finely dispersed alumina powder became possible; the laboratory has developed several methods of production of alpha-alumina from metallic aluminum powder and from its compounds; low-temperature transformation of instable



კომპოზიციური მასალების კონსოლიდაციის უბანი
(მარცხნივ ნ. ჯალალონია; მარჯვნივ რ. ჭედია)



Composite Materials Consolidation Section
(From the left N. Jalagonia; From the right R. Chedia)

ნედლეულთან მისადაგებით (ალუმოსილიკატები, ალუმინის ჯართი) და შესაბამისი კორექციით შესაძლებელი გახდა ულტრადისპერსული ალუმინის ოქსიდის ფხვნილის მიღება; ლაბორატორიაში დამუშავებულია მეტალური ალუმინის ფხვნილიდან და ასევე მისი ნაერთებიდან ალფა-ალუმინის ოქსიდის მიღების რამდენიმე მეთოდი; შესწავლილია ალუმინის არასტაბილური ოქსიდებისა და ოქსოჰიდროქსიდების დაბალტემპერატურული ტრანსფორმაცია ალფა-ფორმაში სხვადასხვა დოპანტების მექვეობით; ფხვნილოვანი კომპოზიტების შეცხობა ხორციელდება ტრადიციული მეთოდით, სპარკ-პლაზმა სინთეზის, ინდუქციური და მაღალტემპერატურული ვაკუუმურ ღუმელში ცხლად დაწნევების მეთოდით; დამუშავებულია სხვადასხვა ტიპის მატრიცული კერამიკების (ოქსიდური და არაოქსიდური მატრიცების ფუძეზე) მიღების ტექნოლოგია; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფხვნილოვანი კომპოზიტებისა და კერამიკული ნიმუშების ქიმიურ და ფაზურ ანალიზს, სტრუქტურულ-მორფოლოგიურ კვლევასა და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების დადგენას; ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს სამუშაოები ნახშირბადოვანი მასალების (გრაფიტისა და გრაფენის ოქსიდები, გრაფენი, ნანომილები) სინთეზისა და ამსტრუქტურებით გაძლიერებული ახალი ტიპის ჰიბრიდული კერამიკების მისაღებად; ამ ეტაპზე მიღებულია გრაფენისა და ალუმინის ოქსიდის შემცველი ფხვნილოვანი კომპოზიტები; OXY-GON ღუმელის გამოყენებით ასევე სრულდება სამეცნიერო-ტექნოლოგიური სამუშაოები საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი და სახელმწიფო დაწესებულებებისათვის.

aluminum oxides and oxohydroxides into alpha-form by means of different dopants were studied; sintering of powder composites takes place by traditional method, spark-plasma synthesis, by the hot compaction method in an induction and high-temperature vacuum furnace; a technology for production of different ceramic matrix composites (on the basis of oxide and non-oxide matrixes); special attention is being paid to chemical and phase analysis, structural-morphological research and identification of physical and mechanical properties of specimens of composite powders and ceramics; the work on the synthesis of carbon materials (graphite and graphene oxides, graphene, nanotubes) and production of hybrid ceramics of new types strengthened by these structures is under way. At current stage composite graphene and alumina containing powder composites were produced; by using the OXY-GON furnace, scientific-technical works for research and public institutions of Georgia are being carried out; specimens of ceramics of different functionality were manufactured by their request.


In 2013-2015 the Institute implemented the National Science Foundation's project "Production of Super-finely Dispersed Alumina and Development of a Technology for Manufacture of Tungsten Ceramics" #AR/325/6-480/12. As a result of implementation of the project's objectives,



ინსტიტუტის თანამშრომლები: თ. კუჭუხიძე და ლ. მიქავა ნანოსაიზერთან (Dynasizer FRITCH 2-6000 nm, Germany) და მ. ქადარია ელექტრონულ მიკროსკოპთან (Nikon Eclipse LV-150, USA) მუშაობის დროს

Institute employees: T. Kuchukhidze and L. Mikava working on a nanosizer (Dynasizer FRITCH 2-6000 nm, Germany) and M. Kadaria at electronic microscope (Nikon Eclipse LV-150, USA)





**ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორიაში მიღებული კერამიკული ნამზადები
Ceramic products produced in Laboratory of Chemical Technology**

მათი დაკვეთით დამზადებულია სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების კერამიკული ნიმუშები.

2013-2015 წლებში ინსტიტუტში შესრულდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი #AR/325/6-480/12 „ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ულტრადისპერსული ალუმინის ოქსიდის მიღება და კორუნდის კერამიკული ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგიის დამუშავება“. პროექტის ამოცანების რეალიზაციის შედეგად დამუშავებულ იქნა სამი ძირითადი პრეკურსორის (ნივთიერების): ალუმინის ნიტრატის, იზოპროპილატის და სხვადასხვა მოდიფიკაციის ალუმინის ჰიდროქსიდის სინთეზის ტექნოლოგიები ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით. მათი შემდგომი გარდაქმნით (მოდიფიცირებული ზოლ-გელ მეთოდი, თვითგავრცელებადი ჟანგვა-ალდგენითი რეაქცია, თანდალექვის მეთოდი და სხვ.) მიღებულ იქნა ალფა-ალუმინის ოქსიდი, რის შემდეგაც განხორციელდა მიღებული ალფა-ოქსიდის ფხვნილის დოპირება სხვადასხვა დოპანტებით და მიღებული ნარევის ჰომოგენიზაცია ნისქვილში, გრანულირება გრანულატორ SD1000-ზე და კორუნდის ნიმუშების შეცხობა-დაწნება მაღალტემპერატურულ ვაკუუმურ წნევეში. შედეგად მიღებულ იქნა ადგილობრივ ნედლეულზე დამზადებული კორუნდის სხვადასხვა ნაკეთობა.

ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორიაში შესრულებული სამუშაოები მოხსენებულია საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე და გამოქვეყნებულია სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალებში. ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორიის მიღწევებში თავისი წვლილი აქვთ შეტანილი გ. მუმლაძეს, თ. კუჭუხიძეს, ნ. ჯალალონიას, თ. არჩუაძეს, ფ. დანელიას, მ. ქადარიას და სხვებს.

technologies for synthesis of aluminum nitrate, isopropyl and aluminum hydroxide of different modification for three basic precursors (substances) by using local raw materials were developed. Through their further modification (modified sol-gel method, self-propagating redox reaction, self-organized precipitation, etc.) alpha-alumina was produced; after that implantation/doping of the produced alpha-alumina with different dopants took place, as well as homogenization of the produced mixture in the mill, granulation on the granulator SD1000 and the sintering and compacting of diamond spa specimens in high-temperature vacuum press. As a result, different diamond spa products on the basis of local raw materials were produced.


The works performed in the Chemical Technology Lab were reported at international scientific forums and published in scientific-research journals. A worthy contribution to the achievements of the Chemical Technology Lab have made M. Mumladze, T. Kuchukhidze, N. Jalaghonia, T. Archuadze and others.

ეკოლოგია. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან სფრი ნაყოფიერად თანამშრომლობდა ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ბიოფიზიკის განყოფილებასთან და ერთობლივად ანარმოებდა სამუშაოებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რადიოაქტიული დაბინძურების საკითხებში. ეს ნაყოფიერი თანამშრომლობა გაგრძელდა სფრი-ს თბილისში გადმოსვლის შემდეგაც. 2005-2008 წლებში შესრულდა საერთაშორისო პროექტი №G-1106 „მდგრადი რადიონუკლიდებით (Sr-90 , Cs-137) საქართველოს ნიადაგებისა და მცენარეული საფარის კვლევა და მონიტორინგი“, საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრის (ISTC) პროგრამის ფარგლებში. ნიადაგი ბიოცენოზის მნიშვნელოვანი კომპონენტია და მისი თვისებები განსაზღვრავენ ბიოქიმიურ ციკლში რადიონუკლიდების ჩართვის სიჩქარესა და გავრცელების გზებს.

ნიადაგში არსებული რადიოიზოტოპები გაცვლითი პროცესების შედეგად ხვდებიან მცენარეში, გადაადგილდებიან ფესვთა სისტემის საშუალებით მცენარის მიწისზედა შტამსა და ფოთლებში იგივე კანონზომიერებით, როგორც ამ ელემენტების

Ecology. Beginning with the 1960s SIPT actively collaborated with Biophysics Department of Kanchaveli Plant Protection Institute on the issues of radioactive contamination throughout Georgia. This fruitful cooperation continued after SIPT had moved to Tbilisi. In 2005-2008, an international project #G-1106 “Research and Monitoring of the Contamination of Georgia’s Soils and Vegetative Cover by Stable Radioactive Nuclides (Sr-90 , Cs-137)”, within the framework of the International Science and Technology Center (ISTC) program was fulfilled. Soil is an important component of biological community (biocenosis) and its properties determine the speed of introduction and the ways of propagation of radioactive nuclides in the biochemical cycle.

